#eu4business

EaP | Eastern Partnership

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში ბიზნესის გაძლიერებას

ევროკავშირი, **EU4Business** ინიციატივის ფარგლებში, უზრუნველყოფს **დაფინანსებას, ტრენინგებს და ექსპორტის მხარდაჭერას ქართული კომპანიებისთვის** ახალი ბაზრების ასათვისებლად

ვინ ისარგებლა ამ ინიციატივით?

დემურ არდია
თხილის მწარმოებელი

მიიღო ევროკავშირის სესხი თხილის გადამამუშავებელი საწარმოს ახალი დანადგარის შესაძენად , ასევე რჩევა EBRD-ისგან ახალი სტანდარტების დასანერგად, რაც საშუალებას მისცემს კონკურენტუნარიანი გახდეს საექსპორტო ბაზარზე.

ბაია აბულაძე
მეღვინე

მიიღო სარგებელი ევროკავშირის სწავლებისა და ქსელის მხარდაჭერით. ახლა ოჯახი ღვინოს ევროპის ბაზარზეც ყიდის.

მიხეილ გეთია
წარმოების დირექტორი

მიიღო ევროკავშირის დახმარება სამუშაო პირობებისა და საერთაშორისო სოციალური სტანდარტების დასანერგად, რამაც საწარმოს საშუალება მისცა ტანსაცმლის წარმოება გაეზარდა ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის.

EU4BUSINESS ციფრებში (2009-2017)

ევროკავშირის მონაწილეობა
€69
მილიონი

კომპანიებზე გაიცა
€882
მილიონი სესხის ოდენობა

დაეხმარა
37 800
საწარმოს (სესხით, ტრენინგით, რჩევით)

ექსპორტის ზრდაში ხელშეწყობა

ეხმარება მსს-ებს ზრდაში

ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს

შეიქმნა
10 300
ახალი სამუშაო ადგილი

ძირითადი მიმართულებები

ფინანსებზე უკეთესი ხელმისაწვდომობა

- ეროვნულ ვალუტაში გასაცემი სესხების მხარდაჭერა
- ექსპორტთან დაკავშირებული ინვესტიციების დაფინანსება
- აღჭურვილობის შეძენის ან მოდერნიზაციის დაფინანსება
- სესხები ბიზნესისთვის, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ
- მიკროკრედიტები მცირე ბიზნესის შექმნისა და განვითარებისათვის

ბიზნეს უნარების გაუმჯობესება

- მორგებული საკონსულტაციო მომსახურება და კომპანიების მხარდაჭერა ადამიანური რესურსების მართვის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის მიმართულებით
- სასწავლო პროგრამები მეწარმეების ბიზნეს უნარების გასაუმჯობესებლად
- ტრენინგები და მენტორობა ქალი მეწარმეებისთვის

უკეთესი წვდომა ახალ ბაზრებზე

- ბიზნეს კონსულტაციები და ტრენინგები ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის
- კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ევროკავშირის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და ევროკავშირთან ვაჭრობის მიზნით
- სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მხარდაჭერა ევროკავშირის ბაზრების ათვისების მიზნით
- კლასტერული მხარდაჭერა ძირითადი სექტორებისთვის

EU4BUSINESS საქართველოში

EU4Business-ის დაფუძნების შემდეგ ის

23 პროექტს

უჭერს მხარს საქართველოში.

საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 2017 წელს

650 733-ს

შეადგენდა, რაც აქტიური საწარმოების 94%-ს, მთლიანი დასაქმების 67%-ს და მთლიანი ბრუნვის 55%-ს წარმოადგენს (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო)

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა რომლებმაც საქართველოში EU4Business-ის ფარგლებში სესხით ისარგებლეს, გაეზარდათ ბრუნვა და სამუშაო ადგილების რაოდენობა. კომპანიების სამ-მეოთხედზე მეტს, სესხის აღების შედეგად გაეზარდა ბრუნვა და მათმა 58%-მა ახალი სამუშაო ადგილები შექმნა.

ევროკავშირი ეხმარება კომპანიებს **საქართველოში EU4Business ინიციატივის** ფარგლებში და თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და მსოფლიო ბანკი, კონრად ადენაუერის ფონდი (KAS) და აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი.

EU4Business

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს:

www.eu4business.eu/ge

EaP Eastern Partnership